სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა

2015

III ტური

I ეტაპი

თქვენ წინაშეა დავალების აღწერილობა და პასუხების ფურცელი. ყურადღებით გაეცანით დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს. გთხოვთ, ***წეროთ გარკვევით.***
ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3,5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

არგუმენტირებული ესე

თქვენ წინაშეა ერთმანეთისაგან განსხვავებული ოთხი წყარო. ყურადღებით გაეცანით მათ და გაანალიზეთ თითოეული მათგანის საზრისი. წყაროების გამოყენებით დაწერეთ არგუმენტირებული ესე, რომელიც გააერთიანებს ოთხივე წყაროს ძირითად სათქმელს და დაასათაურეთ იგი:

წყარო N1

„ვფიქრობ, რომ ყველაზე თავისუფალი წყობა არის ის, რომელიც ემყარება სამოქალაქო პრინციპს. ასეთი წყობა ადამიანებს ყველა სახის თვითგამოხატვისა და გვერდიგვერდ განვითარების საუკეთესო საშუალებას აძლევს. ამგვარ წყობას საფუძვლად უდევს რწმენა მოქალაქეობისა და ურთიერთპატივისცემისა. ასეთი სამოქალაქო წყობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება არის ის, რასაც ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ.“

ვაცლავ ჰაველი, 1999 წელი

წყარო N2

წყარო N3

ისინი (ახალგაზრდები) იმედიანნი არიან და როგორც მთვრალთ, ადვილად აღგზნებადი ბუნება აქვთ. ამავე დროს იმიტომ, რომ ხშირად არ დამარცხებულან, უპირატესად, დიდი იმედებით ცხოვრობენ. რადგან იმედი მომავალს ეხება, მოგონება - წარსულს. ახალგაზრდებს მომავალი ხანგრძლივი აქვთ, წარსული - ხანმოკლე. ახალგაზრდობის დღეებში გასახსენებელი ცოტაა, იმედი კი ყველაფრისა შეიძლება ჰქონდეთ.

ხანდაზმულთა და მოხუცთა ჩვევების უმრავლესობა, დაახლოებით, ახალგაზრდების თვისებების საწინააღმდეგოა, რადგან მათ მრავალი წელი უცხოვრიათ, ბევრჯერ მოტყუებულან და ბევრი შეცდომა დაუშვიათ. და რადგან ადამიანთა საქმეების უმრავლესობა ამაოდ მიუჩნევიათ, ამიტომ აღარც არაფერს ამტკიცებენ და იმაზე ნაკლებს აკეთებენ, ვიდრე საჭიროა.

არისტოტელე, ,,რიტორიკა“, ძვ.წ მე-4 საუკუნე.

წყარო N4

,,ყოველ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შეგნებული ის სულიერი ძალ-ღონე, რომლითაც არის ის მდიდარი. და საზოგადოების სიმდიდრე იმის თვით-მოქმედებაშია. მას აქვს უნარი დამოუკიდებელ მოქმედებისათვის, თავის ცხოვრების იმგვარ მოწესრიგებისათვის, როგორიც საუკეთესოა და გამოსადეგი მისთვის. საზოგადოების სიმაგრე-სიმტკიცე თვით-მოქმედების აზრის და გრძნობის განმტკიცებაში გამოისახება ხოლმე.“

„მოლოდინი და საქმე“

,,მხოლოდ მარტო ,,მოლოდინით" ჩვენ ვერ ვკმაყოფილდებით. გარემოება და თვით ეს ჩვენი მოლოდინი საქმეს გვავალებს. ჩვენი ,,საქმე" უნდა იყოს ცოცხალი, ცხოვრებიდან წარმოშობილი, ცხოვრების საჭიროებისაკენ მიმართული. ლაპარაკს და სჯა-ბაასს მოქმედება უნდა მოჰყვებოდეს, მოქმედება ცოცხალი, მარტივი და ნაყოფიერი. საჭიროა სხვა და სხვა წრეების დაარსება ,,საქმეების" პრაკტიკულად მოწყობისათვის."

„თვით-მოქმედებაზე“

არჩილ ჯორჯაძე, 1872-1913 წ.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- ესე უნდა იყოს არგუმენტირებული, ერთიანი, მთლიანი. მასში ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული მოცემული ოთხივე წყაროს საზრისი, თუმცა ის არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ წყაროში მოცემული პრობლემატიკის პერიფრაზს ან/და წყაროთა საზრისების მექანიკურ ჯამს;
- თქვენი მსჯელობა უნდა იყოს არგუმენტირებული. ესეზე მუშაობისას, შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი მონაცემი (მაგალითები ისტორიიდან, ლიტერატურიდან, პირადი გამოცდილებიდან და სხვა), რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ თქვენი პოზიციის გასამყარებლად;
- **ნაშრომი, ასევე, უნდა განიხილავდეს ესეს ძირითად იდეას საქართველოს დღევანდელ კონტექსტში და წარმოაჩენდეს თქვენს ხედვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.**

დარწმუნდით, რომ ესე:

- *დასათაურებულია;*
- *აგებულია ესეს სტრუქტურის შესაბამისად (შესავალი ნაწილი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა);*
- *ნათლად გადმოსცემს თქვენს სათქმელს;*
- *მოიცავს დამაჯერებელ არგუმენტებს.*

გაითვალისწინეთ, ესე გასწორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- **უნდა შეესაბამებოდეს მოცემული წყაროების საზრისს;**
- **არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ შეხედულებებს;**
- **შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით;**
- **არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის.**